

## შპს „რ–რადიო“-ს „თვითრეგულირების სააპელაციო კოლეგიის“ დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. „თვითრეგულირების სააპელაციო კოლეგია“ (შემდგომში: „კოლეგია“) იქმნება შპს „რ–რადიო“-ს მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების საფუძველზე. „კოლეგია“ წარმოადგენს მუდმივმოქმედი თვითმარეგულირებელ ორგანოს. „კოლეგია“ პასუხისმგებელია შპს „რ–რადიო“-ს დირექციის წინაშე.
2. „კოლეგია“ მოქმედებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა“ და აღნიშნული დებულების საფუძველზე. „კოლეგია“ ვალდებულია განახორციელოს თავისი მუშაობა მაღალ პროფესიულ სტანდარტებზე. „კოლეგია“ შექმნილია სააპელაციო საჩივრების ეფექტურად განხილვის გამჭვირვალე პროცედურისა და მათზე დროული და დასაბუთებული რეაგირების მიზნით. „კოლეგია“ ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს სააპელაციო საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი.
3. „კოლეგიის“ წევრთა შემადგენლობას ამტკიცებს შპს „რ–რადიო“-ს დირექცია. „კოლეგიის“ წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე ან პოლიტიკური პარტიის წევრი, არ უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. „კოლეგია“ დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით. „კოლეგიის“ შემადგენლობაში შედის 3 (სამი) წევრი. „კოლეგიის“ წევრები მუშაობენ ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებრივ საწყისებზე.
4. „კოლეგიის“ ხელმძღვანელობას ახორციელებს „კოლეგიის“ თავმჯდომარე, რომლის „კოლეგიის“ წევრები ირჩევენ თავისი შემადგენლობიდან, ხმების უმრავლესობით. „კოლეგიის“ თავმჯდომარე ირჩევა 3 (სამი) წლის ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე „კოლეგიის“ წევრები ხელახლად ირჩევენ თავმჯდომარეს. „კოლეგიის“ თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთი და იგივე პიროვნებას შეუძლია ორ ჯერ იქნას არჩეული. „კოლეგიის“ თავმჯდომარე მუშაობს ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებრივ საწყისებზე.
5. „კოლეგიის“ წევრი უფლებამოსილია გადადგეს დაკავებულ თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე. „კოლეგიის“ შემადგენლობიდან წევრის გასვლის შემთხვევაში შპს „რ–რადიო“-ს დირექცია, თავისი ბრძანების საფუძველზე, ამტკიცებს „კოლეგიის“ ახალი წევრის კანდიდატურას. „კოლეგიის“ ახალი წევრის კანდიდატურა უნდა დამტკიცდეს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
6. „კოლეგიის“ თავმჯდომარე უფლებამოსილია გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე. „კოლეგიის“ თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში „კოლეგიის“ წევრები ირჩევენ ახალ თავმჯდომარეს. „კოლეგიის“ თავმჯდომარის არჩევნები უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. „კოლეგიის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან წასვლის

მომენტიდან ახალი თავმჯდომარის არჩევნებამდე, თავმჯდომარის ფუნქციებს დროებით ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობების შემსრულებელი. თავმჯდომარის მოვალეობების დროებით შემსრულებელს „კოლეგიის“ წევრები ირჩევენ თავისი შემადგენლობიდან, ხმების უმრავლესობით.

7. „კოლეგია“ ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადა, „კოლეგია“ ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

8. სააპელაციო საჩივრის განხილვისას „კოლეგიამ“ უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დასწრება. საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

9. „კოლეგია“ ვალდებულია განიხილოს ყველა წერილობითი სააპელაციო საჩივარი, თუ ისინი შეიცავენ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ იმ მუხლებს, რომლებიც დაირღვა, დარღვევის სახეს და შინაარსს, პროგრამის დასახელებას, ეთერში გაშვების თარიღს, და დროს.

10. „კოლეგია“ უფლებამოსილია უარი თქვას სააპელაციო საჩივრის განხილვაზე იმ შემთხვევაში, თუ:

10.1. სააპელაციო საჩივარი არ იქნა წარდგენილი „კოლეგიის“ განხილვაზე „საბჭოს“ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ 7 (შვიდი) დღის ვადაში.

10.1. საჩივარი არ იქნა წარდგენილი „საბჭოში“ საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

10.2. საწყისი განცხადება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს ან მომჩივანი არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი.

10.3. შესწორებას ან უარყოფას პირდაპირი კავშირი არ აქვს საწყის განცხადებასთან ან მისი ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის, ან თუ ხდება საწყის განცხადებაში გომთქმული აზრისა და არა ფაქტის შესწორება ან უარყოფა.

10.4. შესწორება ან უარყოფა შეიცავს ცილისწამებას ან საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით ან 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით აკრძალულ მოწოდებას.

10.5. შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს.

10.6. მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესს.

11. სააპელაციო საჩივარში მოყვანილი პრეტენზიების სამართლიანობის აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „კოლეგია“ უფლებამოსილია მოითხოვოს შპს „რ-რადიო“-ს დირექციისგან საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს პროგრამის დასახელებას, ეთერში გაშვების თარიღს და დროს, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ იმ მუხლებს, რომლებიც დაირღვა, დარღვევის სახეს და შინაარსს.

11. სააკლაციო საჩივარში მოყვანილი პრეტენზიების სამართლიანობის აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „კოლეგია“ უფლებამოსილია მოითხოვოს შპს „რ-რადიო“-ს დირექციისგან იმ პირთა ვინაობის დადგენა, რომლის მიერ დაშვებული იყო დარღვევა. „კოლეგია“ უფლებამოსილია დაადგინოს აღნიშნული პირების მიერ დაშვებულ დარღვევაში მონაწილეობის ხარისხი და ამის საფუძველზე გასცეს რეკომენდაცია მათ წინააღმდეგ სადამსჯელო ზომების მიღების შესახებ. „კოლეგია“ ვალდებულია მხარდაჭერა გაუწიოს დარღვევების პრევენციაში შპს „რ-რადიო“-ს თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

12. „კოლეგიას“ უფლება აქვს უარი თქვას აპელაციის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს „საბჭოს“ გადაწყვეტილება საჩივარზე, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა, ხოლო „საბჭოს“ გადაწყვეტილება დასაბუთებული.

13. დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ მოითხოვონ, „კოლეგიის“ წევრის აცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველზე. გადაწყვეტილება „კოლეგიის“ წევრის აცილების შესახებ მიიღება „კოლეგიის“ მიერ ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

14. „კოლეგია“ ვალდებულია ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს შიდა აუდიტი და წარუდგინოს შპს „რ-რადიო“-ს დირექციას დეტალური ანგარიში:

14.1. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით შესული სააკლაციო საჩივრების, განცხადებებისა და მათ თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

14.2. სააკლაციო საჩივრის განხილვის ვადების შესახებ;

14.3. შპს „რ-რადიო“-ს თანამშრომელთა მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევის რაოდენობის, დარღვეული მუხლების, განმეორებითი დარღვევებისა და დარღვევების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით გამოყენებული ზომების შესახებ;

14.4. შპს „რ-რადიო“-ს თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.